კვლავ შეგვახვედრებს გამარჯვება

ჩვენი მუხის ხე ჩვენთანაა,
ვით ძველის– ძველი,
ვით ძველის– ძეელი
მეგობარი, მომსწრე ომების,
მას განუცდია
და წარშლია მრავალი წელი,
მრავალი წელი –
განშორება– დამშვიდობების.
მომგონებელი
შეკრებათა, მისი ხავსია,
მისი ხავსია,
რომ ეტმასვნის ტოტს მონდომებით…

ნუ დაგიმონებს მოგონება:
ყოფნა სავსეა,
ყოფნა სავსეა
განშორვბა– დამშვიდობებით.

აჰა, სინათლემ
კავკასიის დაფარა ქედი,
დაფარა ქედი…
ნუ შეკრთები ამაოებით:
რაც დედამიწა
გაჩენილა, სავსეა ბედი,
სავსეა ბედი
განშორება– დამშვიდობებით.

გზა გამარჯვების!
დაიცავი შენი ქვეყანა,
შენი ქვეყანა
გევედრება დედის ვედრებით:
კვლავ შეგვახვედრებს
გამარჯვების ახალი ხანა –
ახალი ხანა
აღტაცებით და შეხვედრებით.